

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ”-

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹ მუხლის თანახმად
საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106² მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ